385
1990

ISSN 0203—2023

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 9

1990

# უზენაესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

# უწყებები

№ 9 (602) | სექტემბერი | 1990 წელი


## შინაარსი

### განყოფილება პირველი


241. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

242. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ამხ. გ. გ. ჯაბანაშვილის ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

243. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ი. გ. ლეკერაშვილის თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ.

244. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების, კანონიერებისა და წესრიგის დაცვის მდგომარეობის შესახებ.

245. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების შესახებ.

246. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის, მეომარ-ინტერნაციონალისტებისა და ამ ომებში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების დაწესების შესახებ.

247. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებისათვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების შესახებ.


196 44

საქართველოს
ეროვნული

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

248. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. გ. წერეთლისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
249. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
250. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
251. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. ვ. აბულაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ (სიკვდილშემდგომ).
252. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
253. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თ. ი. ხაზარაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
254. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ა. ქ. ჯიჯეიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
255. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ა. ბ. კობახიძისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
256. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ი. გ. ჩადუნელისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
257. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ი. ი. გურიელისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
258. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლ „რუსთაველის“ მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
259. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჯ. ი. ცივაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები,
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 241 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მოქალაქეთა საარჩევნო უფლების უზრუნველყოფის გარანტიათა გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

I. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში:

1. მუხლი 139-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 139. საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე“.

2. დამატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 139[1] მუხლი:

„მუხლი 139[1]. დეპუტატობის კანდიდატისა და არჩევნებში მონაწილე პარტიის პატივისა და ღირსების შემლახავი მონაჭორის გავრცელება

წინასწარი შეცნობით დეპუტატობის კანდიდატისა და არჩევნებში მონაწილე პარტიის პატივისა და ღირსების შემლახავი მონაჭორის გავრცელება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი ნაბეჭდი ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით ათას მანეთამდე“.

3. 140-ე მუხლის სანქციას დაემატოს სიტყვები: „ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე“.

II. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 174[2], 174[3], 174[4] მუხლები:

„მუხლი 174[2]. საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევა

საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევა, რაც გამოიხატება საარჩევნო უბნებში ხმის მიცემის, დეპუტატობის კანდიდატისა და პარტიის რეგისტრაციის, საარჩევნო უბნებსა და ოლქებში ხმების დათვლასა და არჩევნების სა-

ერთო შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისა
სათვის ხელის შეშლაში, —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა დაჯარიმებას ას მანეთამდე.

მუხლი 174³. საარჩევნო კომისიებისათვის მასალების წარდგენაზე უარის
თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა

საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო მასალებისა და მონაცემების წარდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, —

გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას ას მანეთამდე.

174⁴. აგიტაციის გაწევა არჩევნების დღეს

არჩევნების დღეს დეპუტატობის კანდიდატისა და არჩევნებში მონაწილე პარტიის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა, —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ას მანეთამდე".

2. 208-ე მუხლს ციფრის „174¹" შემდეგ დაემატოს ციფრები: „174², 174³, 174⁴".

3. 262-ე მუხლში ციფრი „174¹" შეიცვალოს ციფრებით: „174¹, 174², 174³, 174⁴".

4. 279-ე მუხლს ციფრის „174¹" შემდეგ დაემატოს ციფრები: „174², 174³, 174⁴".

239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი: „174², 174³, 174⁴ მუხლებით ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს აგზავნის საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური, საოლქო, საუბნო საარჩევნო კომისიის თავჯდომარე ან წევრი".

III. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში:

I. თავი ოცდამეორე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი ოცდამეორე

საარჩევნო უფლებათა დარღვევაზე საჩივართა განხილვა

მუხლი 240. საჩივრის შეტანა

მოქალაქეს, რომელიც არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას მისი განცხადების გამო ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უსწორობის (ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, არასწორად შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში დაშვებული სხვა უზუსტობანი) საკითხზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაზე შეიტანოს საჩივარი სახალხო სასამართლოში შესაბამისი საარჩევნო უბნის ადგილსამყოფელის მიხედვით.

მოქალაქეს, რომელსაც საარჩევნო კომისიის მიერ უარი ეთქვა დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებაზე, შეუძლია შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაზე სახალხო სასამართლოში კომისიის ადგილსამყოფლის მიხედვით.

პარტიას, რომელსაც უარი ეთქვა რეგისტრაციაში გატარებაზე, უფლება აქვს საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში.

მუხლი 241. საჩივრის განხილვის პირობები

სახალხო მოსამართლე ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უსწორობის შესახებ საჩივარს განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქემ განცხადებით მიმართა ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასასწორებლად საუბნო საარჩევნო კომისიას და ამ განცხადებაზე უარი ეთქვა; საჩივარი განსახილველად მიიღება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უსწორობის შესახებ საჩივარი შეტანილია სახალხო სასამართლოში წინასწარ საუბნო საარჩევნო კომისიაში განცხადების შეტანის გარეშე, სახალხო მოსამართლე საჩივარს გადაუგზავნის შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას და ამის შესახებ აცნობებს განმცხადებელს.

სახალხო ძოსამართლე საჩივარს საარჩევნო კომისიის მიერ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებაზე უარის შესახებ მიიღებს, თუ ეს უარი განაჩივრებულია საარჩევნო კომისიის დადგენილების მიღებიდან სამი დღის ვადაში. საჩივრის მიღების შესახებ სახალხო მოსამართლე აცნობებს საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა ანალოგიური საჩივარი, სახალხო მოსამართლე საჩივარს არ მიიღებს.

პარტიისათვის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ საარჩელს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ იგი შემოტანილია საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან უარის მიღებიდან სამი დღის ვადაში.

საჩივარი, რომელიც შეტანილია ამ მუხლის პირველ, მესამე და მეოთხე ნაწილებში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, არ განიხილება და დაუბრუნდება საჩივრის შემტან პირს.

მუხლი 242. საჩივრის განხილვა

საჩივარი განხილული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ არა უგვიანეს სამი დღისა მისი შეტანიდან.

მოქალაქეთა საარჩევნო უფლების დარღვევათა შესახებ საქმეს სასამართლო განიხილავს პროკურორის აუცილებელი მონაწილეობით.

საჩივარს საარჩევნო სიებში უსწორობაზე სასამართლო განიხილავს განმცხადებლის, საუბნო საარჩევნო კომისიის შეტყობინებით, ხოლო თუ საჩივარი შეეხება არა განმცხადებელს, არამედ სხვა მოქალაქეს, აგრეთვე ამ მოქალაქის შეტყობინებით.

საჩივარს, დეპუტატობის კანდიდატის და პარტიის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის შესახებ სასამართლო განიხილავს განმცხადებლის, შესაბამისი პოლიტიკური პარტიის, ამომრჩეველთა ჯგუფისა და საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუხლში მითითებული პირების გამოუცხადებლობა არ შეუშლის ხელს საქმის განხილვას.

მუხლი 243. სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის გამო

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია ამომრჩეველთა სიაში უსწორობა, წარმოადგენს საფუძველს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა სიაში აუცილებელი შესწორების შესატანად.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დეპუტატობის კანდიდატისა და პარტიის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა ცნობილია უსაფუძვლოდ, წარმოადგენს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ დეპუტატობის კანდიდატისა და პარტიის რეგისტრაციის საფუძველს.

სასამართლო გადაწყვეტილების პირი დაუყოვნებლივ მიეცემა განმცხადებელს და ერთდროულად ეგზავნება შესაბამის საარჩევნო კომისიას.

სასამართლოს გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში მითითებულ საქმეთა გამო საბოლოოა".

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 4 სექტემბერი.
№ 2790—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**242 თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის ლოვალეობისაგან ამხ. ბ. ბ. ჯაბანაშვილის ვადამდე განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სასამართლო წყობილების შესახებ საქართველოს სსრ კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად განთავისუფლდეს ამხ. გივი გიორგის ძე **ჯაბანაშვილი** თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 10 სექტემბერი.
№ 2795ა—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 243 ი. გ. ლევერაშვილის თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 164-ე მუხლის შესაბამისად არჩეულ იქნეს იოსებ გიორგის ძე **ლევერაშვილი** თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 10 სექტემბერი.
№ 2796—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 244 რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების, კანონიერებისა და წესრიგის დაცვის მდგომარეობის შესახებ

მოისმინა რა რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ტ. ლორთქიფანიძის, შინაგან საქმეთა მინისტრის შ. გორგოძისა და რესპუბლიკის პროკურორის ვ. რაზმაძის ინფორმაციები რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების, კანონიერებისა და წესრიგის დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ბოლო დროს კვლავ გახშირდა სხვადასხვა უკანონო აქციის, ძალადობის, სახელმწიფო დაწესებულებათა შენობების დარბევის, თანამდებობის პირთა მიმართ აშკარა მუქარის, შანტაჟის შემთხვევები, რაც სავსებით გამოკვეთილად ცალმხრივ პოლიტიკურ ზემოქმედებას ისახავს მიზნად და არაფერი აქვს საერთო მაღალზნეობრივ დემოკრატიზმთან. ასეთი სამართალსაწინააღმდეგო აქციები არ უპასუხებს, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის ინტერესებს, ხელს უწყობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა დესტაბილიზაციის ესკალაციას, ძაბავს ისედაც უკიდურესად გამწვავებულ მდგომარეობას და ჯანსაღი ეროვნული ძალების შეკავშირების საწინააღმდეგოდაა მიმართული. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ აქციების ორგანიზატორები ყველა საშუალებით ცდილობენ ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოების პროვოცირებას, რათა მათ აქციების მონაწილეთა მიმართ გამოიყენონ ძალა, დაარბიონ მიტინგები, პიკეტები და ამით საკუთარი პოლიტიკური დივიდენდები მოიპოვონ.

არც ხელისუფლება, არც ნებისმიერი სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანო არ აჰყვება პროვოკაციებს, თუმცა მათ კანონიერი უფლება და ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა შესაძლებლობა აქვთ ძალის გამოყენებით აღკვეთონ ისინი, ჯერ კიდევ არ არის ამოწურული სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმირებებთან, მათ შორის უკიდურესად რადიკალურად განწყობილ პოლიტიკურ პარტიებთან, კონსტრუქციული დიალოგის, თანამშრომლობის ყველა შესაძლებლობა.

ამის უგულებელყოფა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთ რამეს — რადაც უნდა დაუჯდეთ ჩაშალონ ჩვენს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ დესტაბილიზაციის ყოველი მსგავსი მცდელობა არის დანაშაული საქართველოს მომავლის წინაშე და მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და პარტიებს, რომლებიც აქციების უშუალო ორგანიზატორები არიან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს რწმენას, რომ ისტორიული შემობრუნების ჟამს, მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდება ეროვნული თანხმობა და ერთობა, რესპუბლიკის მოსახლეობა, ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, პარტია, გაერთიანება მოუხმობენ გონიერებას, სამართლიანობის, პასუხისმგებლობის გრძნობას, ობიექტურად შეაფასებენ დესტრუქციული ძალების მოქმედებას და, რაც მთავარია, მთელს ძალისხმევას მოახმარენ საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად ტ. ლორთქიფანიძის, ვ. რაზმაძისა და შ. გორგოძის ინფორმაციები აღნიშნულ საკითხზე.

2. დაევალოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებს მიიღონ გადამჭრელი ზომები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის, კანონიერებისა და წესრიგის განუხრელი დაცვისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი დისციპლინის განმტკიცებისათვის.

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ა. წ. 19 სექტემბერს ჩატარდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების შეხვედრა უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერებთან და წარმომადგენლებთან.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 18 სექტემბერი.
№ 2801—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 245 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების შესახებ

განიხილა რა საკითხი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტისა და სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თვლის, რომ ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლის, რესპუბლიკის სუვერენიტეტის ხელყოფის, ავტონომიური ფორმირებების უფლებათა მექანიკური გათანაბრების სამართლებრივი თვალსაზრისით უსაფუძვლო ცდაა და საქართველოს, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციების, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს შესახებ კანონის დარღვევას წარმოადგენს.

ამასთან, საოლქო საბჭოს სესია არადეპუტატების ზეგავლენით, კონსტიტუციური და საპროცედურო ნორმების უხეში დარღვევით ჩატარდა. რესპუბლიკისა და ქვეყნის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის საფუძვლებთან დაკავშირებული ამგვარი გადაწყვეტილების მიღება არა მარტო უსაფუძვლო და არამართლზომიერია, არამედ ეწინააღმდეგება საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის, მათ შორის თვით ოსი ხალხის, ინტერესებს და ხელს უწყობს ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავებას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტისა და სტატუსის შესახებ“ გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ.

2. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მის აღმასკომს მიიღონ სათანადო ზომები, რათა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განუხრელად სრულდებოდეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს შესახებ კანონის მოთხოვნები.

3. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1989 წლის 18 ნოემბერს შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ საკითხთა შემსწავლელი კომისიის დასკვნა გადაეგზავნოს სამხრეთ ოსეთს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 21 სექტემბერი.
№ 2804—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 246 დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის, მეომარ-ინტერნაციონალისტებისა და ამ ომებში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების დაწესების შესახებ

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ომის ვეტერანთა, სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მშობლებისა და ქვრივების, მეომარ-ინტერნაციონალისტთა სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის დონე. ამასთან რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არასაკმარისად ზრუნავენ ომის ვეტერანთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამის გათვალისწინებით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დიდი სამამულო ომის მონაწილეების, მეომარ-ინტერნაციონალისტების, ამ ომებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ქვრივების (რომლებიც მეორედ არ დაქორწინებულან), მშობლებისა და ინვალიდი შვილებისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა „დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 45 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 5 ივნისის № 303 დადგენილების დამატებით:

1. 1991 წლის 1 იანვრიდან ბინის ქირის გადასახადისაგან გათავისუფლონ დიდი სამამულო ომის მონაწილენი, მეომარ-ინტერნაციონალისტები, ამ ომებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ქვრივები (რომლებიც მეორედ არ დაქორწინებულან), მშობლები და ინვალიდი შვილები.

2. გავრცელდეს დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და მეომარ-ინტერნაციონალისტებზე დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის კომუნალურ მომსახურებაში (გათბობა, წყალი, გაზი და ელექტროენერგია) დაწესებული შეღავათები.

3. უფლება მიეცეთ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს უსასყიდლოდ ნიიღონ პირად საკუთრებაში სახელმწიფო და საუწყებო საბინაო ფონდის ის ბინები, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1991 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 21 სექტემბერი.
№ 2805—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 247 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებისათვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების შესახებ

სასამართლოთა მოსამართლეების საკვალიფიკაციო კლასების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების დებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მიენიჭოთ:

### მესამე საკვალიფიკაციო კლასი

ჯემალ ლევანის ძე **ლეონიძეს** — გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

### მეოთხე საკვალიფიკაციო კლასი

ელშად გაჯის ძე **დაშთამიროვს** — გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეს.

დავით დავითის ძე **კოვზირიძეს** — ვანის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეს.

მიტროფანე გრიგოლის ძე **სტურუას** — ცაგერის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეს.

რევაზ პეტრეს ძე **ჯანელიძეს** — ქ. გორის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეს.

### მეხუთე საკვალიფიკაციო კლასი

სუსანა ვაროსის ასულ **მანუკიანს** — ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეს.

გივი გიორგის ძე **ჯაბანაშვილს** — თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფინა ფეოხარის ასულ **ჩორგანოსოვას** — წალკის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეს.

იოსებ ვალერიანის ძე **უტიაშვილს** — გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეს.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 სექტემბერი.
№ 2813—XI

## განკოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 248 გ. გ. წერეთლისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს გურამ გრიგოლის ძე **წერეთელს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 6 სექტემბერი.
№ 2792—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 249 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“**

რენე დავითის ძე **აბესაძეს** — მთავარ რეჟისორს.
ანა ივანეს ასულ **არაბიძეს** — მსახიობს.
ნუგზარ გიორგის ძე **შიუკაშვილს** — სამხატვრო ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ჯემალ სერგოს ძე **კახნიაშვილს** — მხატვარს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 სექტემბერი.
№ 2793—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 250 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ნინო ივანეს ასული **აბესაძე** — მსახიობი.
ელგუჯა ვალერიანის ძე **ბეჟუაშვილი** — მსახიობი.
დავით მამიას ძე **კამკამიძე** — მსახიობი.
ბადრი ალექსანდრეს ძე **ტაბატაძე** — მსახიობი.
თამარ კონსტანტინეს ასული **შავგულიძე** — თეატრის თანამშრომელი.
ლენა ილიას ასული **წერეთელი** — მსახიობი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 სექტემბერი.
№ 2794—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 251 გ. ვ. აბულაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ (სიკვდილშემდგომ)

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

წყალწაღებულის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოვდეს გელა ვლადიმერის ძე აბულაძე (სიკვდილშემდგომ).

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ყვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 25 სექტემბერი.
№ 2811—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 252 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

**რობერტ ველოდის ძე ბოკუჩავა** — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს სამხედრო ნაწილის I საპატრულო ასეულის მეთაური.

**ლეონიდ ვასილის ძე ვერიოვკა** — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი, სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილე.

**ევგენი ნიკოლოზის ძე კოკორევი** — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსის მოადგილე.

**ლევონ სარიბეკის ძე მინასიანი** — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს სამხედრო ნაწილის ფიზიკური მომზადებისა და სპორტის უფროსი ინსპექტორი.

**მიხეილ ანდრიას ძე ტრეშჩეტკინი** — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს სამხედრო ნაწილის ავტოსამსახურის უფროსი, სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილე ტექნიკის დარგში.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ყვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 25 სექტემბერი.
№ 2812—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 253 თ. ი. ხაზარაძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს თეიმურაზ ივანეს ძე **ხაზარაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 სექტემბერი.
№ 2814—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 254 ა. ჭ. ჯიჯეიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ქორეოგრაფიის განვითარებასა და ახალგაზრდა ხელოვანთა აღზრდაში დიდი წვლილისათვის ქორეოგრაფს ალექსანდრე ქრისტეფორეს ძე **ჯიჯეიშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 სექტემბერი.
№ 2815—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 255 ა. ბ. კოგანიძისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ტრანსპორტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს ავტომოყვარულთა საზოგადოების ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს პრეზიდიუმის წევრს აბელ ბაგრატის ძე **კობახიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 სექტემბერი.
№ 2816—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 256 ი. ბ. ჩადუნელისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორის უფროს თანაშემწეს იორამ გაბრიელის ძე **ჩადუნელს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 სექტემბერი.
№ 2817—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 257 ი. ი. გურიელისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და მაღალმხატვრული სცენური სახეების შექმნისათვის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის შემოქმედებითი გაერთიანება „სატელევიზიო თეატრის“ კოლეგიის წევრს, მსახიობს ირმა იაკობის ასულ **გურიელს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 სექტემბერი.
№ 2818—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 258 საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლ „რუსთავის“ მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული ხალხური შემოქმედების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში თვალსაჩინო წვლილისათვის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლ „რუსთავის“ მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ომარ მიხეილის ძე **კელაპტრიშვილს** — სოლისტ-ინსტრუმენტალისტს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

ალექსანდრე გრიგოლის ძე **ლორთქიფანიძეს** — ანსამბლის დირექტორ-განმკარგულებელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ზაურ რევაზის ძე **ბასილაშვილს** — მოცეკვავეს.
ვიქტორ ნოდარის ძე **განუგრავას** — მოცეკვავეს.
მარინე გივის ასულ **გელაშვილს** — მოცეკვავეს.
ზურაბ დავითის ძე **გვანცელაძეს** — მოცეკვავეს.
ამირან ივანეს ძე **გოლიაძეს** — მომღერალს.
თეიმურაზ ლევანის ძე **კობახიძეს** — მოცეკვავეს.
ირინე რევაზის ასულ **მახარაძეს** — მოცეკვავეს.
სერგო ვალერიანის ძე **მუშკუდიანს** — მოცეკვავეს.
შალვა ლენტოს ძე **პაპიაშვილს** — მოცეკვავეს.

196 44

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **გუმბარიძე.**
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. **კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 სექტემბერი.
№ 2819—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**259** **ჯ. ი. ცივაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ეკონომიკური მუშაობის სრულყოფის საქმეში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჭარის ასსრ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განყოფილების გამგეს ჯემალ იუსუფის ძე ცივაძეს მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 სექტემბერი.
№ 2820—XI

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები

18 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. მოსმენილ და ცნობად იქნა მიღებული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ვ. კვარაცხელიას ინფორმაცია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების შესახებ. დადგინდა გაგრძელდეს მუშაობა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მოსამზადებლად; არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად გადაეცეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ტ. ლორთქიფანიძის, შინაგან საქმეთა მინისტრის შ. გორგოძისა და რესპუბლიკის პროკურორის ვ. რაზმაძის ინფორმაციები რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების, კანონიერებისა და წესრიგის დაცვის მდგომარეობის შესახებ.

*
* *

21 სექტემბერს გამართულ პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების შესახებ და დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის, მეომარ-ინტერნაციონალისტებისა და ამ ომებში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების დაწესების შესახებ.

სხდომაზე მოქმენილ იქნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. გუმბარიძის ინფორმაცია სსრ კავშირში საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პროგრამის პროექტის შესახებ.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

11 სექტემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე შეხვდა და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა რუსთაველის გამზირზე გამართული, ერგეთ წოდებული „შავოსანთა“ აქციის მონაწილეებთან.

მომჩივანთა მიერ აღძრული ყველა საკითხი დადებითად გადაწყდა. აქციის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საკითხების ამგვარი გადაწყვეტით და განაცხადეს, რომ რუსთაველის გამზირზე გამართული მათი აქცია შეწყდება.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროკურორი ვ. რაზმაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შადური, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი ჰ. ჭიპაშვილი.

*

* *

15 სექტემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე შეხვდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნების მონაწილე პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ახლოვდება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები, რომელშაც მრავალპარტიულობის საფუძველზე უნდა ჩამოაყალიბოს რესპუბლიკის ახალი პარლამენტი. დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს უზენაეს საბჭოში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, არჩევნების მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში.

გადასაწყვეტია მთელი რიგი ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური საკითხები. ყველა პარტიას შეექმნება თანაბარი პირობები პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მოაწყონ წინასაარჩევნო კამპანია. მთელ ამ პერიოდში აუცილებელია საარჩევნო კანონის ზუსტად დაცვა.

შეხვედრაზე გამომსვლელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მთელი ერის, რესპუბლიკის ღირსების საქმეა, არჩევნები ჩატარდეს დემოკრატიის, მშვიდობის, კონსტრუქციულ ვითარებაში სრულიად საქართველოს ინტერესების შესაბამისად. ამ ინტერესებმა უნდა გამორიცხოს პარტიული, ჯგუფური და პიროვნული დაპირისპირების მიუღებელი ფორმები, დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის შექმნის ცდები, რათა რესპუბლიკის მოსახლეობამ ნამდვილ

№ 9
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემოკრატიულ, თავისუფალ ვითარებაში გამოხატოს თავისი ნება და საქართველოს მომავალ პარლამენტში აირჩიოს მხოლოდ ღირსეული ადამიანები. როგორც ითქვა, მიზანშეწონილია არჩევნების მონაწილე ყველა პარტიამ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ გააკეთოს ერთობლივი განცხადება, რომ კისრულობენ პასუხისმგებლობას და ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს არჩევნების ნორმალურ ვითარებაში ჩატარებას.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტია, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის (დას"-ი), სახალხო ფრონტი, საქართველოს მწვანეთა პარტია, სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მთიელთა პოლიტიკური პარტია, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი, სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტია, საქართველოს შრომის პარტია, საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი, საქართველოს აგრარული კავშირი, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია, საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი", საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი, საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია და საქართველოს სახალხო პარტია.

შეხვედრა შეაჯამა გ. გუმბარიძემ.